[illegible]

№ 258 კვირა, 16 ივნისი 1918 წ. № 258

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბორჩალოს მაზრაში ბრძოლა გრძელდება: ქართველებმა და გერმანელებმა გარეკეს შულავერიდან თათრები და [illegible] დნენ.— ჩვენებმა სადახლო აიღეს: თათრებმა იქიდან დაიხიეს.— მთავრობის თავმჯდომარემ სახალხო კომისარების საბჭოს აცნობა: მრავალი რუსი სამხედრო პირი დარჩა აქ და რუსეთში წამოსვლა სურსო; 30 მილიონი მანეთი გამოგზავნეს მათ გამოსასტუმრებლად რუსეთისკენო.—საქართველოს სამხედრო გზით მთიულებმა დააკავეს 1000 ფუთზე მეტი ფქვილი, რომელიც საქართვ სახელმწიფოზე იყო გამოგზავნილი.—დასავლ. ფრონ. გერმან. კრონპრინცმა დღემდე 1050 ზარ. ჩაიგდეს ხელში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძის ქუჩა „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის-მოწერა და ადგილობრივი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე-დღესასწაულების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად დამწუხრებულნი დედა მართა, მამა კონსტანტინე, ძმები ვარდენ, გიორგი (ნარიმან), რაფაილ და იპოლიტე კონსტანტინეს ძენი შარაშიძენი აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ ამ თვის 12-ს ბრძოლის ველზე, მდ. ხრამზე მოკლულ იქმნა ტფილისის წითელი რაზმის უფროსი

ვალერიან (ვალიკო) კონსტანტინეს ძე

შარაშიძე

ცხედარს გამოასვენებენ სასახლედან დღეს, შაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე და ტფილისის სადგურზე წაასვენებენ. დაკრძალვა სოფსაში. 622

ღრმად დამწუხრებულნი და ნინო ლუკას ასული და სიძე ვალერიანე გიორგის ძე თხილავა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 24 მოკლული იქმნა აწყურის ბრძოლაში გმირი ბათომის პარტიზანული ბატალიონის უმცროსი კაპიტანი

ალექსი ლუკას ძე მელუა

რომელსაც სადგურ ბორჯომიდან 13 ივნისს გაასვენებენ ს. ბაღდადში, დასაფლავება მოხდება ამავე სოფელში კვირას, ივნისის 16. 626

დამწუხრებული: ქვრივი ეკატერინე მიხეილის ასული და მისი შვილები სალომე და ნინო, ძმა გრიგოლ დიმიტრის ძე თავის ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ივნისის 18-ს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის წირვა და პანაშვიდი, ტრაგიკულად გარდაცვალებულის

ივანე (ვანო) დიმიტრის ძე ბოჭორაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. 634

ქართული ენის კურსები

ქართველ მოსწავლეებისათვის (ორივე სქესის)

იხსნება 2 თვიანი კურსი

(ივნისის 21-დან მარიამობისთვის 21-მდე)

ქართული ენისა, რეალური სასწავლებლის შენობაში. მეცადინეობა დილის 9 საათიდან.

აგრეთვე გახსნილია 2 თვიანი კურსები ორივე სქესის მოზრდილთათვის, რომელთაც სურთ ქართული ენის შესწავლა. მეცადინეობა იქნება 6—7 საათამდე.

ცნობების მიღება შეიძლება ა. ნაცვლიშვილთან ყოველ დღე 9—11 ს. და 5—7 ს. ჩაწერა შეიძლება ივნისის 20 მდე. სწავლა ივნისის 21 ს დაიწყება. 640

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესეა განაწილებული:

| | | |
|---|---|---|
| პირველი პრემია (ერთი) | — — | 1000 მან. |
| მეორე პრემია (ორი) | — — | 700 „ |
| მესამე პრემია (ერთი) | — — | 500 „ |

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მიკუთვნებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 113

სახაზინო თეატრი

კვირას, 16 ივნისს

ქართველ მსახიობთა კავშირი დამსახურებულ მსახიობ

ვიქტორ გამყრელიძის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართავს

საღამოსასწაულო წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება

I

ი. გედევანიშვილის

მსხვერპლი

ორი მოქმედება.

II

ა. ცაგარელი

„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!"

მეორე მოქმედება.

წარმოდგენას დასდგამს რეჟისორი კ. შათირიშვილი.

დასაწყისი სად. 9 საათზე.

შემოწირულებანი და მილოცვები მიიღება ქართველ მსახიობთა კავშირის კანტორაში.

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში" და სახაზინო თეატრში. 1187

ქართული [illegible]

კვირას ივნისის 16-ს 1918 წ.

ბენეფისი ნ. ჩავჩანავასი

წარმოდგენილი იქნება ცნობილი ბზიური ოპერეტა

არშინ მალ-ალან

4 მოქ. გაჯიბეგოვისა თარ. ვ. გიგოშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-6 მ. გიგოშვილისა, ვ. შარგველაშვილი, ა. არჯევანიძე, ს. ფეიქრიშვილი, ბ-ნ მ. ჯინოევი, ი. რევაზიშვილი, ნ. მირველოვი, ნ. ჩავჩანავა. ახკარას როლს შეასრულებს თვით მობენეფისე.

დირიჟორი ნ. იბრაგიმოვი. 636 დასაწყისი სად. 8 ნახ. ს



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზაფხულო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, ივნისის 16-ს გაიმართება

2 დიდი საღამოსასწაულო წარმოდგენა

შესდგება 18 ნომრიდან, მონაწილეობენ ლაიორა, ბონ-ბონ და ბოდი, გ. ელიზაროვი, რაინი, მიშელი და სხვ. დღესით „მაიმუნების წალკოტი". დაკლებულ ფასებში. მთავარი ადმინისტრ. პ. ელიზაროვი. 639

კოოპერატიული კახური ღვინო

მევენახეთა

„კახელ ვაჭართ-კავშირი"

მთავარი კანტორა გოლოვინის პრ. № 33 ტელ. 4—02.

განყოფილებები ტფილისში:

1. ოლღას ქუჩა № 40.
2. ერევნის მოედანი, ქარვასლა, მომხმარებელი საზოგადოება „დახმარება".
3. მიხეილის ქუჩა № 49 ტელეფ. 13—26. 60.

ექიმთა და ავადმყოფთა

საყურადღებოდ

რადგანაც საზღვარ-გარეთულ „კლინ", „გესსნერ" და „კლაფე"-ს და სხვა ფირმებიდან არავითარი კან ქვეშ შესაშხაპუნებელი პრეპარატები არ მოდის; ჩვენი ლაბორატორია კისრულობს ყოველ გვარი შესაშხაპუნებელი წამლების ამპულებში დამზადებას. ზემმელის აფთიაქის და ლაბორატორიის გამგე პროვიზორი მიხ. ჩხეიძე. 638

კვირას, ივნისის 16, დღის 12 საათზე, ეროვნულ საბჭოს ყოფილ დარბაზში (ფრეილინის ქუჩა) ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის მეთაურობით მოხდება

საზოგადო კრება ახალციხის და ჯავახეთის ქართველ მცხოვრებთა,

განურჩევლად სარწმუნოებისა. კრების საგანია დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა. 641

აგარაკი წაღვერში

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ წაღვერში ავიღე ცნობილი აგარაკი ქ-ნ მღებროვისა, რომელიც მდებარეობს საუკეთესო ადგილას.

პანსიონში არის სასადილო, პიანინო; ცივი წყაროს წყალი. შეიძლება სრული პანსიონიცა და აგრეთვე მარტო ოთახის დაქირავებაც.

დაწვრილებით ცნობები წაღვერი იოს ა. კიკანაძეს.

ტფილისი ზემმელის აფთიაქის მოიჯარადრე მის. ჩხეიძესთა ტელ. 6—28

საქართველოს სახელმწიფოს თეატრი

ორშაბათს ივნისის 17-ს

ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირის მიერ გაიმართება პირველად სახელმწიფო თეატრში ქართული ოპერა რევაზ გოგნიაშვილისა

„ქრისტინე"

მონაწილეობენ: კალანდაძისა, მიხაილოვისა, ხორინა, დაიხვეიმ, მერეხინი, ნიკოლაძე, დავითაშვილი, კურობატოვი და სხ.

დირიჟორი: ე. გრანედული.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1193 დასაწყისი სად. 8 საათზე.

საზოგადოება „იმედი"-ს

სასადილო

ძველი სემინარიის შენობა, პუშკინის სკვერის პირდაპირ.

გაუმჯობესებულია სამზარეულო,

ღირველ ხარისხოვანი სანოვაგე, ამზადებენ ცახშამს, [illegible] სრიმებიანი [illegible] 651

დაიკარგა

ოფიცერთა საზოგადოების საქონლის გამოსატანი წიგნაკი

(заборная книжка). მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს ფოსტით ამ მისამართით: ტფილისი, რეუტოვის ქ. № 31. 633 პორუჩიკი ხმალაძე.

**ტფილისი. 16 ივნისი 1918 წ.**

**ადმინისტრატიული აპარატი.**

საუბედუროდ ჯერ კიდევ კარგადარა აქვთ შეთვისებული ის აზრი, რომ სახელმწიფოებრივ საადმშენებლო მუშაობას თავისი ლოღიკა აქვს და ვინც ამ ლოღიკას ჰღალატებს, ის სახელმწიფოს ვერასოდეს ვერ ააშენებს. ამ ქამად ჩვენ გვინდა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ იმ საშინელ უწესრიგობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ადმინისტრატიულ აპარატშია გამეფებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის განკარგულებანი ტფილისს ვერა სცილდება და უფრო ხშირად კი ტფილისშიაც განკარგულება მხოლოდ განკარგულებადა რჩება. ეს მხოლოდ იმას უნდა მიეწეროს, რომ მტკიცე ადმინისტრატიული აპარატი არა გვაქვს.

ჯერ-ჯერობით ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ მხრით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ეხლანდელი ჩვენი ადმინისტრატიული აპარატი აშენებულია ძველი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ნანგრევებზე. ძველი აპარატი სულ სხვანაირ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასთან იყო შეგუებული და სულ სხვანაირ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია. საქართველოს ადმინისტრატიული აპარატი უნდა შეეფარდოს ახალ პირობებს და იმნაირად მოეწყოს, რომ სახელმწიფოებრივი დანიშნულებაც შეასრულოს და ის საქმეც, რომელსაც დემოკრატიული წესწყობილების შინაარსი მოითხოვს.

თუ ამნაირის თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს ადმინისტრატიულ აპარატს, უპირველესად ყოვლისა თვალში გვეცემა ერთი [illegible] დიდი ნაკლი: სიდიდე ადმინისტრატიულ ერთეულების ტერიტორიისა. რუსეთის მასშტაბით ეხლანდელი გუბერნიები იქნება არც დიდი ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს მასშტაბით არსებული განაწილება გუბერნიებად ყოვლად შეუსაბამოა. ჯერ-ჯერობით ჩვენ ორი გუბერნია და ორი ოლქი (სოხუმისა და ზაქათალისა) შეადგენს ჩვენს მთელს საქართველოს ტერიტორიას. ასეთი დიდი ადმინისტრატიული ერთეულების დარჩენა ჩვენს მთავრობას გაუძნელებს მტკიცე ადმინისტრატიული აპარატის შექმნას. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი დანაწილება უნდა მოისპოს და მოხდეს ჩვენი ქვეყნის ახალი ადმინისტრატიული გადამიჯვნა.

საშუალო ადმინისტრატიული ერთეული—მაზრა—ჩვენის აზრით შეიძლება სულ მოისპოს. ერთგვარი ეკონომიური, სამეურნეო და გეოგრაფიული თვისებების მიხედვით შეიძლება ორი-სამი მაზრა გაერთდეს და შეიქმნას საგუბერნიო ერთეული. მაშინ ჩვენში შეიქმნება მხოლოდ ორი ადმინისტრატიული საფეხური: უმაღლესი—გუბერნია და უმცირესი—სოფლის საზოგადოება ან საზოგადოებათა კავშირი.

ჩვენ დაწვრილებით არ ვიხილავთ ეხლა რომელიმე მაზრებიდან რა გუბერნია უნდა გამოიჭრას, მაგრამ ჩვენის აზრით ამნაირი გადამიჯვნის შემდეგ შეიძლება შეიქმნას არა უმეტეს ათი გუბერნიისა, რომლებიც ეხლანდელ გუბერნიებზე პატარები იქნებიან და ეხლანდელ მაზრებზე კი—დიდები.

ასეთი გადამიჯვნა საჭიროა კიდევ მომავალი საერობო თვითმართველობის ინტერესებისთვისაც. სამ საფეხურიანი საერობო თვითმართველობათა შემოღება ჩვენი ნორჩი სახელმწიფოსთვის ძალიან გაძნელდება. მართველობა ასეთი ერთეულებისა ზედმეტ ხარჯს გამოიწვევს და ეს კი სასარგებლო არ არის დღევანდელს ჩვენს პირობებში, როდესაც საფუძველი მეურნეობისა დარღვეულია და არც არავითარი საფინანსო სისტემა არა გვაქვს. წვრილი სასოფლო და უმაღლესი საგუბერნიო თვითმართველობანი საკმარისად გაუძღვებიან სოფლის ყველა საერობო მოთხოვნილებებს.

გარდა ადმინისტრატიული გადამიჯვნისა, საჭიროა თვით ადმინისტრა-

დრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე სპირდონის ასული სიდედრი ელისაბედ ზაქარიას ასული, და სოფიო ბესოს ასული, შვილი ქეთინო ალექსის ასული, ცოლის ძმები ანტონა და მიხეილ სპირდონის ძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 24 მოკლულ იქმნა აწყურის ბრძოლაში გმირი ბათომის პარტიზანული ბათალიონის უფროსი კაპიტანი

**ალექსი ლუკასძე მელუა**

რომელსაც სადგურ ბორჯომიდან 13 ივნისს გამოასვენებენ ს. ბაღდადში, დასაფლავება მოხდება ამავე სოფელში დღეს ივნისის 16-ს.

ტორთა პირადი შემადგენლობის შეცვლა და მათი ადმინისტრატიული როლის ჩამოყალიბებაც. როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ნაცვლად შინაგან საქმეთა მინისტრი დავნიშნეთ, ამას თავისი სახელმწიფოებრივი აზრი ჰქონდა. კომისრების ინსტიტუტი რევოლუციამ წარმოშვა და მისი დაჩენაც საჭიროა იმ დრომდე, სანამ არ დადგება ხანა რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა განმტკიცებისა და ახალი ნორმების სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში ჩამოსხმისა.

დროა ეს პრინციპი მთელ ადმინისტრატიულ აპარატში გავატაროთ და და გუბერნიის კომისრების ნაცვლად დავნიშნოთ გუბერნიის მართველობი, რომლებიც თავიანთ მოვალეობათა ასრულების დროს, როგორც მოხელენი, მხოლოდ თავისი პირდაპირი უფროსის—შინაგან საქმეთა მინისტრის და სასამართლოს წინაშე იქნებიან პასუხისმგებელნი.

თუ ამნაირად შევხედავთ ადმინისტრატორს, მაშინ იქნება საჭიროც გახდეს ეხლანდელი ადმინისტრატორების პირადი შემადგენლობის შეცვლა. ეს საჭირო გახდება არა იმიტომ, რომ ეხლანდელი ადმინისტრატორები არვარგანან, არამედ იმიტომ, რომ თვითოეულ მათგანს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ არა პირდაპირ მთავრობასთან, არამედ სხვა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთანა და პარტიებთან. ადმინისტრატორი თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე პასუხისმგებლობისაგან ასეთი ორგანიზაციების წინაშე. იგი თავის შემოქმედების შესახებ პასუხს უნდა აგებდეს მხოლოდ სამინისტროსა და სასამართლოს წინაშე. მხოლოდ ამისთანა პირობებში შეიძლება ადმინისტრატორი გადაიქცეს მინისტრისა და მთავრობის საზოგადო განკარგულებათა აღმასრულებლად ერთის [illegible] კანონიერების [illegible]—მეორეს მხრივ. მინისტრი განკარგულებას აასრულებს, სასამართლო კი მის კანონიერ მოღვაწეობას კონტროლს გაუწევს.

თუ ჩვენი ადმინისტრატიული აპარატი ამნაირად არ მოეწყო, ვერც ანარქიას მოვსპობთ და ვერც სახელმწიფოებრივ წესრიგს დავამყარებთ საქართველოში.

## მთავრობის დეკლარაცია

**წაკითხული ეროვნულ საბჭოს კრებაზე ივნისის 15-ხა.**

26 მაისს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და შესდგა ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხის-მგებელი მთავრობა.

რესპუბლიკის მთავრობის პირველ შემადგენლობას მეტად რთულ და მწვავე პირობებში დაეკისრა ქვეყნის მართვა-გამგეობა.

მის მთავარ მოვალეობას შეადგენს საქართველოს ხალხი გამოიყვანოს მსოფლიო ომის ქარტეხილიდან, ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ წესწყობილების დამყარებას და დიდი რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საბოლოოდ განმტკიცებას.

ამ ისტორიულ მოვალეობათა მიხედვით მთავრობის უპირველესი საგანი იყო გარეშე საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა და ნორჩ რესპუბლიკას კულტურულ განადგურებას უქადდა. ამ მიზნით მთავრობამ უკვე გადასდგა რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი. 28 მაისს ქალაქ ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დადებულ იქმნა წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობამ აღგვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა. ჩვენთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა [illegible]ისი ჯარი, რომელიც იმოქმედებს [illegible]ნს განკარგულებათა თანახმად [illegible] მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში.

მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მან მოამზადა ნიადაგი, რათა მკვიდრი კეთილგანწყობილება განმტკიცდეს გერმანიის სახელმწიფოსთან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

4 ივნისს ქ. ბათომში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან ხელშეკრულობას. ამ გზით ჩვენი ხალხის საყოველთაო მისწრაფება ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ განხორციელდა და გადაიდგა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დასამყარებლად.

მთავრობა თავისს მოვალეობად რაცხს აშკარად აღიაროს, რომ 4 ივნისის ხელშეკრულობის ზოგიერთი პირობები ქართველ ხალხის გულში სრულიად სამართლიან მწუხარებას გამოიწვევს, მაგრამ მთავრობა იმედოვნებს, რომ ნორჩი რესპუბლიკის ენერგიულ შემოქმედებით და დიპლომატიური საქმიანობით მომავალში ჩვენი ერის ხასიცოცხლო ინტერესები დაცული იქნება.

მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მის წარმომადგენელთა წინადადებით ამ დღეებში ქ. სტამბოლში შეიკრიბება ოთხ მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელზედაც მოწვეულ არიან აგრეთვე ჩვენი წარმომადგენლები და რომლის უმთავრესი საგანია საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა და უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობილება ყოველნაირ გარეშე და შინაურ საფრთხისაგან.

მთავრობა ნათლად ხედავს, რომ დიდის რევოლიუციით მოპოებულ სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებას ხელს უშლის არევ-დარევა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენი სახელმწიფოს ზოგიერთ კუთხეში.

ამიტომაც მთავრობა მთელის თვისის ძალღონით შეეცდება ანარქიის ყოველნაირ ნიადაგის მოსპობას და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ამ მიზნისათვის საჭიროა დამყარდეს **ერთი ძლიერი მთავრობა,** ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით, როგორც ეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა უკვე აღიარეს, არ უნდა იდგეს არც ერთი, მთავრობის უფლებებით აღ[illegible]ილი ორგანო.

მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპიულის წესით გაწვრთნილი ჯარის შედგენა და ამავე დროს მთელის ხალხის მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლა, რათა საჭიროებისას სახელმწიფომ შესძლოს თვისი საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი.

ახალ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლად მთავრობა ზომებს მიიღებს დაჩქარებით შემოიღოს საერობო თვითმართველობა, განსაზღვროს ადმინისტრაციის და თვითმართველობის ურთიერთობა და ახალ პირობათა მიხედვით გარდაქმნას სასამართლო და სკოლა და დაჩქარებით განახორციელოს სავალდებულო უფასო პირველ დაწყებითი სწავლა განათლება.

საქართველოს ეკონომიური განვითარების ხელ შესაწყობად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ფინანსიური მეურნეობის მოწესრიგება, ფულის სისტემის შემუშავება და საკუთარი ფულის მოჭრა; ხოლო, ვიდრე ეს რთული საქმე მოეწყობოდეს,—მთავრობა ზომებს მიიღებს შინაური და საგარეო სესხის ასაღებად. მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრესიული გადასახადის შემოღებას და გადასახადთა მთელ სისტემის გარდაქმნას, რათა საუკეთესოდ დაცულ იქნას მშრომელი ხალხის ინტერესები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა მთელი თვისის ძალღონით შეუდგება დაწყებულ აგრარულ რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლების დაძლევას.

ზავის ჩამოგდებით მყარდება წინასწარი პირობა საწარმოო ძალთა განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ეკონომიურ განვითარების ხელშესაწყობად, აგრეთვე უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობას განზრახული აქვს საქართველო მოჰფინოს რკინის გზებით მოაწყოს ტყეების წესიერი ექსპლოატაცია, შეუდგეს არხების გაყვანას და საერთოდ იზრუნოს ინტენსიურ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის.

რათა ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ, მთავრობა საჭიროდ სთვლის ყოველგვარი მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად აღიარებას და შესაფერ კანონ პროექტს ახლო მომავალში წარუდგენს ეროვნულ საბჭოს. აგრეთვე მთავრობას განზრახული აქვს დააწესოს სახელმწიფო კონტროლი საზღვარ-გარედ ნედლი მასალის გატანაზე.

მთავრობა ხელს შეუწყობს სოციალურ კანონმდებლობის განვითარებას და მუშათა კლასისის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მთავრობას დიდმნიშვნელოვან მორიგ საქმედ მიაჩნია ხალხის უზრუნველყოფა სურსათით, რისთვისაც ის სათანადო ზომებს მიიღებს.

მთავრობა აცხადებს, რომ ის ეცდება ახლო მომავალში მოწვეული იქნას სრულ დემოკრატიულ საფუძველზე საქართველოს დამფუძნებელი კრება ნორჩ რესპუბლიკისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად და სახელმწიფო საქმეების მოსაწესრიგებლად.

მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ქართველი ხალხი რომლის დემოკრატიის დაუღალავი ბრძოლა უცხოეთშიაც საერთო აღტაცებას იწვევდა იძლევს, ყოველგვარ დაბრკოლებას რაიცა ნორჩ რესპუბლიკას წინ გადაეღობება, და რომ ყველა მოქალაქე გაიმსჭვალება სამშობლოს წინაშე პასუხისგების გრძნობით და მთავრობას დახმარებას აღმოუჩენს დიდის რევოლიუციის მოპოებათა განმტკიცებასა და რესპუბლიკის აყვავების საქმეში.

## მთავრობაში

მიწათმოქმედების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობაში, რომ შეადგინონ საგანგებო, საუწყებათაშორისო კომისია ახალი, საპენსიო წესდების შესამუშავებლად, რადგან ძველი წესდება უკვე აღარ შეეფერება ახალი დროის მოთხოვნებს.

—

სახალხო განათლების სამინისტროსთან შესდგა საგნობრივი კომისიები საშუალო სასწავლებლებისათვის სამოსწავლო პროგრამების შესადგენად.

—

მთავრობის სხდომაზე, ივნისის 14-ს, გზათა მინისტრის მოხსენების თანახმად დაკმაყოფილებულია რკინის გზის მთავარ კომიტეტის სასურსათო განყოფილების შუამდგომლობა.

—

მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში სახალხო კომისარების საბჭოს: „ტფილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ამ ჟამად იმყოფება მრავალი ოფიცერი და სამხედრო მოხელე, რომელნიც სხვა და სხვა დაწესებულებებში მსახურებდნენ. ამათ სურთ რუსეთში წასვლა, მაგრამ საქართველოს მთავრობას შეძლება არა აქვს გაუსწოროდეს ამ ოფიცრებს [illegible], ამისთვის [illegible] საქართველოს გამოგზავნ[illegible] [illegible] აგრეთვე გამოგზავნეთ რამოდენიმე რწმუნებული ფულის დასარიგებლად და ამ ფულის ხარჯის კონტროლისათვის.

## სტამბოლის კონფერენცია

მთავრობის თავმჯდომარემ მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ი. ჩხენკელს შემდეგ დეპეშით: „გთხოვთ აცნობოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას საქმის მდგომარეობა ამასთანავე გაუწყებთ, რომ თქვენ დანიშნული ხართ წარმომადგენლად სტამბოლის კონფერენციაზე; კეთილ ინებეთ და საჩქაროდ გაემგზავრეთ.

—

გუშინდელ ნომერში შეცდომით იყო ცნობა, რომ კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია გეგეჭკორის თავმჯდომარეობით იქნება საქართველოს დელეგაციას თავმჯდომარეობს ა. ი. ჩხენკელი, შეცდომა არის აგრეთვე წევრად ი. გ. წერეთელი გაიგზავნაო.

## საქართველო და სომხეთი.

**ტფილისი.** ივნისის 14. საქართველოს ეროვნულ საბჭოში სომხის ეროვნულმა საბჭომ შეკითხვა შეიტანა საქართველოს და სომხეთის საზღვრების შესახებ. სომხის ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ საზღვრებზე მოლაპარაკება შეიძლება მხოლოდ რეალური მოსახლეობის მიხედვით თანახმად ამ ორ მხარეს შორის მომხდარ შეთანხმებისა. ბორჩალოს მაზრის გამიჯვნა მხოლოდ ეთნიური პრინციპის მიხედვით შეიძლებაო.

## ბრძოლა ბორჩალოს მაზრაში

**შულავერის რაიონის** თათრების ბანდებისაგან განთავისუფლების შემდეგ, შულავერიდან რამოდენიმე ლტოლვილი სომეხი ჩამოვიდა. იმათი გადმოცემით გერმანელთა და ქართველთა ნაწილებმა გაფანტეს თათრების ბრბოები და შულავერში დაბანაკდნენ. სად. აშაღა-სერალიდან ტფილისამდის გზა გახსნილია.

**სადახლოდან** დეპეშით იუწყებიან: „ჩვენი რაზმის შეტევის შემდეგ, ივნისის 14 ბანდებმა სადახლოს იქით დაიხიეს; სად. სადახლო ჩვენს ხელშია.

## საქართველოს ეკონომიკისათვის

**თეთრი ნახშირი.**

II

პირველ წერილში ჩვენ შევეხეთ იმას, თუ რამდენად აუცილებელი და შესაძლებელია საქართველოს წყლების გამოყენება და აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ეროვნული მრეწველობის განვითარებაში წყლის ენერგიით სარგებლობას უპირველესი ადგილი უჭირავს.

ამ წერილში ჩვენ განზრახული გვაქვს შევეხოთ იმ მიზეზებს, რომელნიც აფერხებდნენ რუსეთში წყლის ენერგიის გამოყენებას, და დავსახოთ ის გზა, რომელიც უნდა აირჩიოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, რათა მიზანშეწონილად ისარგებლოს ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესებისათვის ეგზომ საჭირო ბუნებრივი სიმდიდრით.

თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო რუსეთი წყლის ენერგიის გამოყენებაში, ისევე როგორც სხვა გვარი ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებაში, ნათლად სჩანს ქვემო მოყვანილ ცხრილიდან, სადაც ნაჩვენებია დაახლოვებით სხვა და სხვა ქვეყანაში დაგროვილი წყლის ძალის რაოდენობა და აგრეთვე გამოყენებული ენერგიის რაოდენობაც.

| | წყლის ძალა: | | გამოყენებულია: | °/°/° |
|---|---|---|---|---|
| შეერთებული შტატები. | 28,1 | მილიონი ცხენის ძალა | 7,0 | 24,9 |
| ავსტრია-უნგრეთი. | 6,46 | „ | 0,56 | 8,8 |
| საფრანგეთი. | 5,6 | „ | 0,65 | 11,6 |
| იტალია | 4,0 | „ | 0,976 | 23,7 |
| შვეიცარია | 2,0 | „ | 0,511 | 25,5 |
| გერმანია | 1,425 | „ | 6,618 | 43,3 |
| შვეცია | 6,75 | „ | 1,4 | 20,0 |
| ნორვეგია | 7,5 | | | |
| რუსეთი (ფინლიანდიითა და კავკასიით) | 13,0 *) | „ | 0,250 | 1,9 |

როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე ნაკლებად არის გამოყენებული წყლის ძალა რუსეთში. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ საკუთრივ რუსეთში თითქმის სულ არ უსარგებლიათ წყლის ენერგიით, ხოლო ცხრილში ოყვანილი რაოდენობა გამოყენებული ენერგიისა (0,250) განსაკუთრებით არა რუსულ ნაწილებს ეკუთვნის: ფინლანდიას, კავკასიას, თურქისტანს და ციმბირს. აქედან კავკასიას 8000 ცხენის ძალა ეკუთვნის: სოხუმსა და გაგრაში—1000, ცხ. ძალა, პიატიგორსკში—1000, ალავერდის ქარხანაში—1500, ბორჯომში—3000, ერევანში—400, ჩაქვაში—240, ხოლო დანარჩენი ეკუთვნის გერმანელთა ახალშენებს ადერბეიჯანში.

ჩვენ არ შევეხებით რუსეთის განვითარების საერთო პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს: ნათი ნაკლი ზედმიწევნით გვიჩვენა მსოფლიო ომმა და უკანასკნელმა წელმა რუსეთის საბოლოო რღვევისა.

არ შევეხებით აგრეთვე რუს კაპიტალისტებს, რომელთაც სრულებით ვერ გამოიჩინეს ინიციატივა, უნარი და იმ მოვალეობის შეგნება, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურმა წყობილებამ დააკისრა მათ!

გვერდს ავუხვევთ იმ ძარცვა-გლეჯურ მეთოდს მრეწველობის წარმოებისა, რომელიც ასე ახასიათებდა რუსეთის მრეწველობას.

ჩვენ შევეხებით მხოლოდ რუსეთის კანონმდებლობას, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებას დამღუპველი გზით აწარმოებდა და გარდაუვალ დაბრკოლებებს უღობავდა ამ სამრეწველო დარგის განვითარებას: რუსეთის კანონმდებლობას ახასიათებდა საწყლო მრეწველობის ნორმებისა და კანონების უქონლობა.

ძირითადი კანონების მე-584 მუხლის ძალით უფლება მიმდინარე წყლით სარგებლობისა მისი სანაპიროების მფლობელს ეკუთვნის. მწარმოებელს შეეძლო შუამდგომლობა აღეძრა კონცესიის მისაღებად მხოლოდ იმ წყლის ნაკადზე, რომლის ორივე სანაპირო ხაზინის საკუთრებას შეადგენდა: ამ შემთხვევაშიაც საკონცესიო საკითხის გადაჭრა მეტად დიდ დროს ითხოვდა, რადგან არავითარი ნორმები არ არსებობდა ამის შესახებ, და ყოველ კერძო შემთხვევაში საქმე მთავრობის მიერ დანიშნულ საგანგებო წესით სწარმოებდა.

რადგან ჰიდროელექტრონული სადგურები არ იყო აღიარებული, როგორც სახელმწიფოებრივი ან საზოგადო მნიშვნელობის მქონე, ამის გამო მათთვის საჭირო მამულის იძულებითი ჩამორთმევის საკითხი არ სწყვეტდა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტი; მას იხილავდნენ საკანონმდებლო დაწესებულებანი და ამას კი დიდ დროს ანდომებდნენ.

ჰიდროელექტრონულ სადგურების ასაგებად საჭირო მიწა მწარმოებელს კერძო მფლობელისაგან უნდა შეეძინა კერძო მორიგებითა და შეთანხმებით: ეს კი მწარმოებლის ძალას აღემატებოდა. რადგან ასეთ შემთხვევაში მიწისმფლობელები მეტად ძვირს აფასებდნენ თავის მიწას.

რუსეთში სულ ორ კონცესიას ჰქონდა ადგილი, ესეც იმით აიხსნება, რომ ორივე კონცესია—ერთი ურბანოვიჩისა და პალაშკოვსკის მდ. რიონზე, სოფ. გლოლასთან და მეორე სტიუარტის მდ. თერგზე—ისეთ რაიონებზე ვრცელდებოდა, რომელთა ორივე სანაპირო სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა, და არც ერთი კონცესიისათვის არ იყო საჭირო იძლებითი ჩამორთმევის უფლება. სტიუარტს მისი უფლების განხორციელების დროს გარდაუვალი დაბრკოლებები გადაეღობა წინ: სადგურების აშენებისათვის საჭირო ადგილში მას დიდძალი ფული მოსთხოვეს იმ კერძო მფლობელებმა, რომელთაც სახელმწიფოს კუთვნილი სანაპიროები აიღეს სახელმწიფოსაგან თითქოს მადნების დასამუშავებლად.

ევროპამ და ამერიკამ დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს წყლის ძალის მნიშვნელობას სახელმწიფოს ეკონომიკისათვის და შემოიღეს მთელი რიგი კანონებისა, რომელიც წყლის ძალის სარგებლობის მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული.

იტალია, შვეიცარია, ამერიკა და ზოგიერთ შემთხვევაში საფრანგეთი, წყლის ძალას სახელმწიფოს კუთვნილებად აღიარებენ. დანარჩენი სახელმწიფოები კი—გერმანია, შვეცია, ნორვეგია, კანადა და სხვ.—ანიჭებენ კერძო საკუთრების უფლებას სანაპიროების მფლობელებს, ხოლო ამასთანავე ეს სახელმწიფოები საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით მთელ რიგს ზომებს იღებენ, რომელიც ხელს უწყობს წყლის ენერგიით მიზანშეწონილად სარგებლობას *).

იტალიაში, საწყლო სამართალი ზედმიწევნით არის შემუშავებული. ამ სამართლით ყველა მდინარე და ნაკადი ვარდა წყარო-მდინარეებისა, სახელმწიფო საკუთრებად არის გამოცხადებული და მათ ექსპლოატაციასაც სახელმწიფო აწარმოებს კონცესიების გაცემით 30 წლის ვადით.

შვეციაში, თუმცა აღიარებულია კერძო უფლება წყლის ძალებზე, ხოლო რადგან წყლის ძალების 750°/₀ ნორლანდშია, სადაც უმეტესი წილი მიწებისა სახელმწიფოს ეკუთვნის, მთავრობა ორგვარ სახეს ღებულობს: საჯარო უფლების მატარებლისა და კერძო მესაკუთრის. სახელმწიფომ 1909 წელს ჩანჩქერების სამართველო დააწესა და ამ სამართველოს სახით ის ცდილობს, რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები შექმნას, როგორც კერძო ინიციატივისათვის, ისე თავისთვის: პირველ მიზნისთვის (კერძო ინიციატივის წასაქეზებლად) ის იძლევა კონცესიებს 40 წლის ვადით. მეორეს მხრით თვითონაც, თუმცა დიდის სიფრთხილით, წყლის ძალების ექსპლოატაციის გასახელმწიფოებრივობის გზას ადგება. აქ, ზედმეტი არ იქნება შევჩერდეთ იმ ნაბიჯებზე რომელიც შვეციის მთავრობამ გადასდგა და საკუთარი ძალღონით მოახდინა წყლის ძალების ექსპლოატაცია. ეს ნაბიჯები საგულისხმო უნდა იყვეს ჩვენი მომავალი საეკონომიო პოლიტიკისათვის.

1906 წელს დაიწყეს ტროლჰეტენის ჩანჩქერის დამუშავება, (დაჯდა 15 მილიონი კრონი) რომლის ძალა 80.000 ცხენის ძალას უდრის. მისი ენერგიით სარგებლობენ გეტებორგი, შედე, სკარა, ფალჩეპინგი და სხვ.

1910 წელს 21 მილიონი კრონი გადადვეს პორიუსის ჩანჩქერზე ჰიდროელექტრონულ სადგურის ასაგებად (50.000 ცხ. ძალა), ენერგია უნდა მოხმარებოდა კირუნ—რიკგრენსენის რკინის გზის (სიგრძით 129 კილომეტრია) ელექტროფიკაციას და კირუნისა და გელივარის სახაინო მადნების დამუშავებას. ხოლო ზედმეტი ენერგია უნდა მისცემოდათ კერძო მწარმოებლებს.

თუ რამდენად ფართოა მთავრობის პოლიტიკა წყლის ძალების გასახელმწიფოებრივობის საქმეში, იქიდანაც სჩანს, რომ 1906 წელს რიგსდაგისაგან 5 მილიონი კრონი იყო გაცემული, რომ სამხრეთსა და შუა შვეციაში ჩანჩქერები ეყიდათ კერძო მფლობელებისაგან.

სანიმუშოდ ჩვენ შვეციის მთავრობის საეკონომიო პოლიტიკა მოვიყვანეთ: შვეციის მთავრობა თავის ეროვნულ საზრუნავ საქმედ იმასა სთვლიდა, რომ განთავისუფლებულიყო ინგლისის ქვა ნახშირიდან, რომელიც ყოველწლიურად შემოჰქონდათ 70 მილიონ კრონის. შვეციის სავაჭრო ბალანსი 1908 წელს 126 მილ. კრონის ზარალით გამოიხატა და მაშასადამე ჩვენს წინაშე შემდეგი სურათი იშლება:

სახელმწიფოს რომელიც ვალით სცხოვრობდა ზომები უნდა მიეღო არა მხოლოდ იმისთვის, რომ ინგლისის ნახშირი აღარ შემოეტანა—რადგან ნახშირის საფასური სახელმწიფოს მთელი წლიური ზარალის ნახევარს უდრიდა—არამედ ფული უნდა დაეხარჯა შინაური წარმოების ასამაღლებლად და ასაყვავებლადაც.

ქვანახშირი კი უმთავრესად იხარჯებოდა რკ. გზებზე და სამეტალურგიო მრეწველობაში, ე. ი. მრეწველობის იმ დარგში, რომელშიაც შვეციას ყველაზე მეტად შეეძლო დაწინაურებულიყო, რადგან მას დიდძალი ნედლი მასალა მოეპოვებოდა. ამ ჟამად რკინის გამოდნობა უკვე ელექტრონის „ფეჩებში“ სწარმოებს გრენდალის სისტემით, რაზედაც იხარჯება მარტო ამ დარგში 200,000-მდე ცხენის ძალა.

ამ გვარია შვეციის მთავრობის პოლიტიკა თეთრი ნახშირის გამოყენების საკითხში.

**სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი ქვა ნახშირი ან ნავთი არა აქვთ უთუოდ ყოველ ძალღონეს ხმარო-**

---

*) აქედან მარტო საქართველოშია 4 მილიონი ცხენის ძალა. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს წყლები უადრესად გამოსადეგია და მეტად იაფი დაჯდება მათი გამოყენება.

*) შვეციის მთავრობა, მაგ. საჭიროების და მიხედვით სამართლიანი შეფასებით გამოიყიდის ხოლმე კერძო მფლობელებისაგან უფლებას წყლის ძალაზე.

## საქართველოს სამხედრო გზაზე

ივნისის 13-ს ბექვდითი სიტყვის წევრს სდ. ყაზბეგიდან დეპეშით ატყობინებენ, ცნობამ დუშეთის რაზმის იარაღის აყრის შესახებ უკმაყოფილობა გამოიწვია ზემო და ქვემო მთიულეთში. არც ჩრდილოეთისაკენ და არც ტფილისისაკენ მთიულები არავის უშვებენ. საქართველოს რესპუბლიკის სახელობაზე გამოგზავნილ ფქვილსაც არ უშვებენ. უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში ფასანაურში დაიჭირეს 274 ფუთი ფქვილი, ხანდანის ხეობაში 400 ფუთი ფქვილი და ნაგორევში 450 ფუთი. დარიალის ხეობაში ამ ჟამად მშვიდობიანობა. ფქვილის მაგიერად ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხედრო რკინის გზით იგზავნება თამბაქო, შაქარი და ფართლეულობა.

## ბრძოლა ბორჩალოში

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქართული ჯარი და მისი არტილერია ტფილისს ახლო იდგა, როდესაც ქალაქს საფრთხე მოელოდა ოსმალ-თათართა ბრბოებისაგან, აქვე იდგა მე-2 საარტილერიო ბრიგადის პირველი ბატარეია კაპიტან ილ. მახარაძის მეთაურობით. 8 ივნისს საღამოს მივიღეთ ბრძანება: ბორჩალოს მაზრაში შეიარაღებული ბრბოები რკინის გზას დაჰპატრონებიან და არავის უშვებენ. ეს მაზრა უნდა გაიწმინდოს და მიმოსვლა აღდგენილ იქმნასო. სწრაფად მოვემზადენით და იმ ღამესვე ჩავედით სოლანლუღს, სადაც დაგვხვდა ქართული ჯარის სხვა ნაწილები: მე-5 პოლკისა და პირველ ცხენოსანთა პოლკისა შტაბ-როტმისტრ ქ. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. გზაში თითქმის 5 საათის განმავლობაში განუწყვეტლად წვიმდა. ძვალ-რბილამდე ყველანი დავსველდით. შემდეგ ცივი ქარი ამოვარდა. მაგრამ ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ, რადგან ერთს ადგილას ყოფნა ყველას მოსწყენოდა და წინსვლის სურვილი დიდი იყო. მეორე დღეს დილით სამხედრო წესით ჩვენი ბატარეია წავიდა სოლანლუღის გზით რკინის გზის მარჯვენა მხრით და ღამე გავათიე სოფ. კოდაში, სადაც უკვე დაბანაკებულნი იყვნენ წითელი გვარდიელები არტილერიით და ცხენოსანთა ესკადრონი.

10 ივნისი.

ამ დღეს დილის 7 საათზე კოდიდან გავიდა მთელი ჯარი და მიუახლოვდა სოფ. სანდარს. ჩვენი ბატარეია იდგა მარცხენა ფლანგზე და პირდაპირ გადასცქეროდა სოფ. ჰანდარს, სადაც თათრები სცხოვრობენ. მათ უკვე გაეგოთ ჩვენი მიახლოვება და გაჩქარებული გარბოდნენ: დატვირთული ურმები, ქალი, ბავშვი—ყველანი მიეშურებოდნენ სოფლიდან მთის გადაღმა. ჩვენი რამდენიმე ჯარისკაცი დაეწია მათ და აუხსნა, რომ ხელს არავინ ახლებს მათ, თუ წინააღმდეგობას არავინ გაგვიწევს. მაგრამ ვერაფრით შევაჩერეთ. სხვათა შორის ქალი, ბავშვებიც კი მამაკაცებისა რომ არა ვსთქვათ რა ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ და ვინტოვკები მიჰქონდათ. ჩვენ შეგვეძლო ყველასათვის იარაღი აგვეყარა, მაგრამ განკარგულება არაფერი იყო და საზოგადოთ ფუთავობლობამ აქაც იჩინა თავი, ვინაიდან ეს შეიარაღებული ხალხი მერე შეუერთდა იმ ბრბოს, რომელმაც ცხარე ბრძოლა გაგვიმართა ხრამის ხიდსა და სოფ. ემირთან. თითქოს ბრძოლით მივდიოდით და თავსაც უქონავდით ვილაცას, რამაც წარსულში არა გვარგოა და ეხლა ხომ პირდაპირ ხელიდან გაშვება იყო შეიარაღებულ მტრისა. ჯარში უკმაყოფილება ჩამოვარდა ამის გამომით უმეტეს რომ მარჯვენა ფრთა, სადაც პირველი ცხენოსანთა პოლკი იყო—წააწყდა თათრებს და დიდი სროლა ჰქონდა. მასთან ერთად იბრძოდა ჩვენი, სოციალისტ-ფედერალისტთა რაზმი ამხ. დ. მაჰავარიანის ხელმძღვანელობით, ლაპარაკობდნენ, რომ თათრები კი არა, ოსმალოები არიან და მოითხოვენ საქართველოს და მათ შორის ამხრით საზღვრად მდ. ალგეთის დადებასაო. ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში უმოქმედოთ ვიდექით ყველანი 11 ივნისის ნაშუადღევამდე.

11 ივნისი.

ამ დროს მოვიდა ბრძანება მარცხენა ფრთას და ჩვენს ბატარეიას წინ წაეწია. დავძარით და სანდარს ათი ვერსით დავშორდით. სხვათა შორის სოფ. სარკანმა უბრძოლველად გაგვიშვა: რაკი ქართველები ყოფილხართ, წადით და რაც გნებავთ ისა ჰქენითო. უკვე დაღამებული იყო, როდესაც მიუახლოვდით სოფ. ემირს. ვერც კი მოვასწარით ცხენების გამოშვება, რომ მოისმა სროლა. თათრებმა ტყვია დაუშინეს ჩვენ წინ მავალ ცხენოსანთა პოლკს, რომელიც ყოჩაღად უპასუხებდა. სწრაფად მოვემართეთ ზარბაზნები და დაუშინეთ სოფელს. სროლა ჩქარა შესწყდა და მოწინააღმდეგემ მიატოვა ეს სოფელი. ხოლო ნამდვილი დიდი ბრძოლა გაიმართა 12 ივნისს და განსაკუთრებით 13, როცა ჩვენი და გერმანელების ჯარი იერიშით წავიდა წინ.

(დასასრული იქნება).

ქ. რაშ—ლი.

## ომის დეპეშები

(დეპ. სააგენტო).

**ბერლინი** ივნისის 14. საომარი ცნობა. . . . (გამოტოვებულია). მტერი დიდად დავაზიანეთ და გავრეკეთ, სუასონ-ვილერ კოტერეს გზის ორსავე მხარეს ჩვენ ვილერს-კოტერის ტყეში შევიჭრით. ობერ-გენერალ ბომეს ლაშქარმა 27 მაისიდან 830 ზარბაზანი აიღო. ამასთან ერთად რიცხვი ზარბაზნებისა, რომელიც გერმანელი კრონპრინცის ლაშქარმა ხელთ იგდო, 1050 აღწევს. გუშინ მტრის 28 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ჰაუპტმანმა მე-34-ჯერ გაიმარჯვა, ლეიტენანტმა უდეტმა—მე-29, ხოლო ობერ-ლეიტ. ლერცემ მე-25-ჯერ. მაისის განმავლობაში მტერმა დაჰკარგა 23 საჰაერო ბირთვი და 413 ჰაეროპლანი, რომელთაგან 223 ჩვენი ხაზების უკან დაეშვა, ხოლო დანარჩენი მტრის პოზიციებისკენ. საჰაერო ბრძოლაში იმავე ხნის განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ 180 ჰაეროპლანი და 28 საჰაერო ბირთვი.

**ვენა.** ივნისის 14. საომარი ცნობა იტალიის მთა-გორიან ფრონტზე ზომიერი საარტილერიო ბრძოლაა. ქვედა პიავზე მტრის მზვერავებმა ორჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ უნაყოფოდ. ალბანიაში, დევოლის ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერიეთ ფრანგების იერიში ორი საათის ბრძოლის შემდეგ. ბრძოლაში ბულგარელებიც მონაწილეობენ. კოტაროზე მოტანილ საჰაერო იერიშის მოგერიების დროს ჩვენ ჩამოვაგდეთ ინგლისელების ერთი ჰაეროპლანი.

**ბერლინი** ივნისის 14. ოფიციალური საღამოს ცნობა. ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია.

**სტამბოლი.** ივნისის 14. საომარი ცნობა.

### პალესტინის ფრონტი.

ორივე მხრით განაგრძობენ საომარ მოქმედებას. ჩვენმა ბატარეებმა ენერგიული პასუხი გასცეს მტრის ცეცხლს, იორდანეს აღმოსავლეთით რომ გახვია ჩვენი პოზიციები გიჯოსის რკ. გზაზე აჯანყებულებმა და ონეგის შუა, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს ტაფილოსთან აჯანყებულებზე და ყუმბარები და ტყვისმფრქვეველები დაუშინეს.

### აღმოსავლეთის ფრონტი

ინგლისელების წინსვლის გამო სპარსეთში ჩვენ გავმაგრდით ურმიის ტბის ორსავე ნაპირას და დავიკავეთ ქალაქი თავრიზი, რათა ამით თავდასხმისაგან უზრუნველვყოთ ჩვენი ჯარი რომელიც კავკავში სდგას.

**პარიზი.** ივნისის 14. საომარი ცნობა. გასული დღის განმავლობაში ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა.

არტილერიის მოქმედება გაძლიერებულია ანგარდის ტყეში, ენის სამხრეთით და ვილერ-კოტერესა და შატოტიერის რაიონში. იმ ნადავლის გარდა, გერმანელებს რომ წაართვეს, რომელიც ივნისის 11-ს იყო აღნუსხული უნდა დაუმატოთ კიდევ 9 ზარბაზანი და 40 მიტრალიეზა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

## რადიო-დეპეშები

**მოსკოვის რადიო სადგურიდან.** ყველას. ციმბირის და ვოლგის დეპ. საბჭოებს. ჩვენი ძალა იზრდება. ყველგან ახალი რაზმები სდგება. მუშები და გლეხები ყოველი მხრიდან მოდიან საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად მემამულეებისა და ბურჟუაზიისაგან, რომელთაც იარაღით ხელში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხებისა და სლოვაკების ეშელონებმა თეთრ რაზმელებისა და მემარჯვენე ს.-რევ. დახმარებით ხელში ჩაიგდეს სამარა და ომსკი, სადაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ტყვია-წამალს იპოვიდნენ, იქ ისინი დიდად დაზარდნენ და ვერაფერიც იპოვეს. მათი ნაწილები ჩვენ ერთმანეთს მოვსწყვიტეთ. ამხანაგებო! მოიკრიბეთ ყოველი ძალ-ღონე და რაც შეიძლება მალე მოუღეთ ბოლო მოღალატეთა ამბოხს. ყოველი დღე ყოყმანისა აგვიანებს მუშებისა და გლეხების ბრწყინვალე მომავალს. პასუხისმგებელი სახალხო კომისარები ყოველ ზომას ხმარობენ, რომ მოაწოდონ ჯარს იარაღი, სურსათი და ხალხი. ამ დღეებში დამთავრდება ჯარების მოგროვება: ჩვენი ჯარი ყოველ მხრივ დაიწყებს შეტევას და როდესაც ეს მეამბოხეები, რომელთაც არ მიიღეს სახალხო კომისარების საბჭოს წინადადება, აღგვილი იქნებიან, მაშინ თავის თავს დააბრალონ. იმ ჯარის მთავარ-სარდლობა, რომელიც ჩეხებისა და სლოვაკების და მათთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ამხ. მურავიოვს მიენდო. ის დღეს მიემგზავრება დანიშნულებისამებრ. მუშებო და გლეხებო, გაერთიანდით და გამაგრდით საბჭოების გარშემო მუშურ-გლეხურ რუსეთის დასაცავად. გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკას.

რაკომი.

## ახალი ამბავი

◆ **ქართული ოპერა** სახელმწიფო თეატრში. ორშაბათს ივნისის 17 ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი სდგამს ქართულ ორიგინალურ ოპერას „ქრისტინეს“ საქართველოს სახელმწიფო თეატრში. სრული ანსამბლით და ახალი ძალებით. დაწვრილებით აფიშებში, ბილეთების ყიდვა დაიწყება დღესვე სახელმწიფო თეატრში.

◆ კვირას ივნისის 16 მოწვეულია რაიონული კრება მეთერთმეტე უბნის მოქალაქეთა დღის 5 საათზე „ნაძალადევის“ თეატრის შენობაში.

◆ **ნაფიც ვექილთა კრება.** კვირას ივნისის, 16 სასამართლო პალატის შენობაში, დანიშნულია ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა საზოგადო კრება ნაფიცი ვექილ არწრუნის 50 წლის იუბილეს სადღესასწაულოდ და სასამართლოს გარდაქმნის საკითხების განსახილველად.

◆ **ქართული ენის კურსები.** ივნისის 21-დან იხსნება ორთვიანი კურსები ქართული, ენისა; მეცადინეობა რეალური სასწავლებლის შენობაში და სწავლა აგვისტოს 21-მდე გაგრძელდება.

◆ დღეს, საღამოს 5 საათზე, მეექვსე ვაჟების გიმნაზიაში (უდელნი ქუჩა № 3) დანიშნულია ვერის სახალხო გასართობ საზოგადოების წევრთა კრება. სთხოვენ წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ **ქართული კლუბი.** დღეს ივნისის 16 ს გაიმართება ბენეფისი ნ. ჩაგუნავასი. წარმოდგენილი იქნება არშინ-მალ-ალან. ასკარის როლს შეასრულებს თვით მობენეფისე.

◆ **ტერმინოლოგიის სექციის კრება.** ქართულ სატექნიკო საზოგადოებასთან არსებული ტერმინოლოგიის სექციის კრება დანიშნულია ორშაბათს ივნისის, 17 ფრეილინის ქუჩაზე № 11 საღამოს 7 საათზე. სასურველია დაესწრონ ყველანი, ვინც ამ საკითხით დაინტერესებულია.

◆ **ტელეფონი და ტელეგრაფი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ტელეფონისა და ტელეგრაფის საქმეების შესახებ ვ. სურგულაძე სასწრაფოდ აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებს შორის ტელეგრაფს. ტელეგრაფი უკვე გაკეთებულია გურიის დიდ სოფლებს შორის და ახლო მომავალში განზრახულია ტელეგრაფის ფართო ქსელი გაიბას რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

◆ **ზუგდიდის მაზრაში.** ქუთაისის საგუბ. კომისარის რწმუნებულად დანიშნა გ. ფალავა, რომლის ხელმძღვანელობით იმოქმედებენ მფრინავი რაზმები, მაზრაში იარაღის ასაყრელად.

◆ **მოსავალი** სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს აგრონომები იტყობინებიან. რომ იქ დაუთესავი მიწა სრულებით არ დარჩა. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

◆ **ახალციხე ჯავახეთის ლტოლვილები.** ტფილისის სამხარეო კომიტეტმა შეატყობინა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ახალციხისა და ახალქალაქის ქართველი და სომეხი ლტოლვილები უმწეო მდგომარეობაში არიან: ისინი ბაკურიანის რაიონში არიან გადმოხვეწილი. ლტოლვილებში სახადი გაჩნდა. მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო.

◆ **ღვინის გაქრობა.** სათლქო საადგილ მამულო გამგეობა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით ადგენს პროექტს საქართველოში შემოტანილ ღვინოზე ბაჟის დადების შესახებ, აგრეთვე საქართველოს საზღვრებში ღვინის თავისუფალი ვაჭრობის განაწილების შესახებ.

**კოოპერატივების საყურადღებოდ.** ამიერკავკასიის კოოპერატივების კავშირი უკვე შეუდგა იმ საქონლის განაწილებას, რომელიც მან „სურსათის მიმწოდებელ კომიტეტისაგან“ მიიღო. საქონელი ნაწილდება შემდეგი წესით: კავშირის წევრი კოოპერატივები მიდებენ თავის წილს უახლობელეს სარაიონო კავშირებში. ხოლო არა წევრი კოოპერატივები გამოგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს საქონლისათვის პირდაპირ ტფილისში ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირში (მიხეილის პროსპ. № 178) უკანასკნელთ საქონელი მხოლოდ ნაღდ ფულზედ დაეთმობათ.

◆ **შავი ქვის მრეწველობა.** შავი ქვის გადასატანის საკითხი შრომის სამინისტროში ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. ფოთში უახლოეს დროში მოწყობილ იქნება კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რამდენად პროდუქტიულია ადგილობრივი მტვირთველების მუშაობა. კომისიაში შევლენ ფოთის და პიათურის მტვირთველთა კავშირის წარმომადგენლები, აგრეთვე წარმომადგენლები შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი პარიტეტულ საფუძველზე. კომისიის სათავეში იქნება შრომის სამინისტროს წარმომადგენელი. ივნისის 18-ს ფოთში დანიშნულია ....წველთა ყრილობა, ....... განხილული იქნება მაღაროებში მუშაობის მოწყობის და საზღვარ გარედ შავი ქვის გატანის საკითხები.

◆ **ხოჟხმის გზის** ჩასაბარებლად დანიშნულია საუწყებათა შორისო კომისია გუშინ უნდა გამგზავრებულიყო.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას 16 ივნისს, დილის სრულ ათ საათზე, „სახალხო საქმის“ რედაქციაში, შესდგება შეერთებული კრება მთავარ კომიტეტის, ტფილ. საგუბ. კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის, მუშათა კავშირ-ს გამგეობის და სამხედრო საბჭოსი. ამხანაგებს ვთხოვთ დანიშნულ დროზე მოვიდნენ.

### საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და სომხური პრესა

„მშაკში“ ვკითხულობთ:

„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ისეთი გადაწყვეტილება მიუღია, რომელიც უკეთუ იგი განხორციელდა, მეტის მეტად შეამცირებს ისედაც ვიწროდ შემოფარგლულ სომხეთის მიწა-წყალს. იმას მოუთხოვია და გადაუწყვეტია აიღოს ბორჩალოს მაზრა მთლად და ყაზახის მაზრისა და ალექსანდრეპოლის მაზრის ერთი ნაწილი. ბორჩალო თითქმის მთლად სომხებით არის დასახლებული და მაშასადამე ჩვენი ისტორიული სანაჰინჰაღბატი, ლორე უნდა გადავიდეს საქართველოს საზღვარში. ყაზახის მაზრის მუსულმანების მიერ დასახლებული ნაწილი (რომელიც ადერბეიჯანს უნდა შეუერთდეს) და სომხების მიერ დასახლებული ნაწილი (რომელიც სომხეთში უნდა გადავიდეს) მიაქვთ აგრეთვე.

არა გვგონია, რომ ადერბეიჯანი დათანხმდეს ყაზახის სამუსულმანო ნაწილის დათმობას. ჩვენ სომხებსაც არ შეგვიძლია ქართველებს დაუთმოთ, რადგანაც მათი მოთხოვნა არაა სამართლიანი არც არსებითად, არც ზნეობრივად, არც ისტორიულისა და არც საერთაშორისო წესის მიხედვით.

სადღა გაჰქრა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი, მაგრე ხმამაღლა რომ ქადაგებდა ქართველი დემოკრატია, რომელსაც ახლა იმპერიალიზმის დროშა აუფრიალებია? საქართველო პრეტენზია-მოთხოვნილებას აყენებს ახალქალაქის მაზრის შესახებ, რომელიც წმინდად სომხებით იყო და არის დასახლებული. ჰაღბატ-სანაჰინის კუთხე სულ მთლად სომხურია. მანდ სრულებით არ არის ქართველობა. ეს მიდამო ისტორიულად სომხეთთან არის დაკავშირებული. ამისი მოწმეა: ისტორიული გოდოლები, მონასტრები, მომხდარი ამბები.

სომხებს არას გზით არ შეუძლიათ თანახმანი გახდენ ქართველების უსამართლო მოთხოვნილებისა. ძალის წინაშე ჩვენ უგების ძალებით დავთმოთ, მაგრამ ვიმეორებთ ქართველი დემოკრატია საშინლად ეწინააღმდეგება თავის თავს.

(„ჰორიზონის“ აზრი შემდეგ).

## ქართველები ჯარში

ჯარის-კაცი ვასო პავლეს-ძე შაუაშვილი მსახურებდა მე-5 ქართულ პოლკის მზვერავთა რაზმში. ბათომის აღების შემდეგ არავითარი ცნობა არ მიგვიღია და უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ვინც რამე იცით იმის შესახებ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: **ტფილისი, ბარონის ქუჩა № 14 ოლღა შაუაშვილს.**

## სწავლა-განათლების სამინისტროში

მომავალ სამოსწავლო წლიდან განზრახულია სკოლა ნამდვილ ეროვნულ დაწესებულებად გადაიქცეს. ეროვნულ საბჭოს ახლო მომავალში წარედგინება მოსაზრებები ამის შესახებ.

ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადასაკეთებლად პროექტი მუშავდება, მთავრობა ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

—

მოხდება სრული რეორგანიზაცია მართვა-გამგეობისა. გაუქმდება სამოსწავლო ოლქი და დირექციები სახ. სკ. ინსპექციები სახალხო სკოლებ. დარჩება ერობის შემოღებამდე. სწავლა-

---

ხენ. **რომ განავითარონ თეთრი ნახშირის მრეწველობა, რათა ამ გზით განთავისუფლდნენ სათბობი მასალის შემოტანისაგან.**

ამის საუკეთესო მაგალითია შვეცია, შვეიცარია, იტალია და ნორვეგია. უკანასკნელი სახელმწიფოს ბიუჯეტის დიდ ნაწილს შეადგენს თეთრი ნახშირის მრეწველობა.

როგორი უნდა იყოს საეკონომიო პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკისა დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში?

ამიერიდან საქართველოსათვის აღარ არსებობს ის დაბრკოლებანი, რომელზედაც ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი: მოსპობილია ყველა ის იურიდიული შეზღუდვანი, რომელიც რუსეთის, ამჟამად კანონმდებლობას ახასიათებდა და მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფო ეძლევა თავისუფლად განავითაროს თავისი მრეწველობა და ახლო მომავალში გვერდში ამოუდგეს მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებს; უკვე გამოცემული კანონით საქართველოს წყლები საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად არის გამოცხადებული და თუ ამას დაუმატებთ იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკამ დროებით და ... ყველა აქამდე არსებული კანონი, მაშინ ჩვენ სახელმწიფოს უფლება ეძლევა იძულებით ჩამოართვას კერძო მესაკუთრეებს ის მიწები, რომელიც ჰიდროელექტრონულ სადგურისათვის იქნება საჭირო. ეს იმ კანონის ძალით, რომელიც კერენსკის მთავრობის დროს გამოიცა 1917 წლის სექტემბერს.

მაშასადამე, იურიდიული დაბრკოლებანი აღარ არსებობს და მთავრობა ვალდებულია რაც შეიძლება მალე მიიღოს რეალური ზომები საქართველოს ეკონომიურად განვითარებისათვის და პირველ რიგში უნდა შეუდგეს იაფფასიანი ენერგიის დამუშავებას „თეთრი ნახშირიდან“.

მაგრამ რა არის ამისათვის საჭირო! საჭიროა შრომა, ცოდნა და კაპიტალი. თუმც დღეს, ომითა და რევოლიუციით გამოწვეულ ეკონომიური რღვევის, ალებ-მიცემობის დაქვეითების და პოლიტიკურ გამოურკვევლობის გამო ეს სამი ელემენტი ერთმანეთს დაშორებულია და შეთანხმებული ძალით არ მოქმედებენ, მაგრამ უნდა ვსთქვათ რომ ეკონომიკის სასტიკი კანონები მათ კვლავ შეათანხმებს და ჩვენი მთავრობაც მზად უნდა იყვეს ამ მომენტისათვის.

საქ რომ გადაიჭრას ძირითადი საკითხი რა სახით აქვს განზრახული მთავრობას წყლის ძალის გამოყენება?

წყლის ძალის გამოყენებას თან სდევს ერთი დამახასიათებელი თვისება: ის დიდძალ თანხას მოითხოვს, ხოლო საგრძნობ შემოსავალს კი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა. ეს კი აიხსნება იმით, რომ პირველ ხანებში ელექტრონის ენერგია ვერ ნაწილდება მთლიანად, ის ვერ პოულობს საკმაო ბაზარს, ხოლო თვით ჰიდროელექტრონული სადგურები კი კომერციულ-ტეხნიკურ მოსაზრებებით დიდ მასშტაბში უნდა იყოს მოწყობილი, რომ მათ შესძლონ იაფად მოგვცენ ელექტრონის ენერგია. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით იმ ქვეყნებზე, რომელთა მრეწველობა დაბალ საფეხურზე არის და არც ბუნებრივი სიმდიდრეები არის სათანადოდ გამოკვლეული. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა შვეციასა და ნორვეგიაში, სადაც პირველ 2—3 წლის განმავლობაში ჰიდრო ელექტრონულ სადგურებს, სახელმწიფოს ხარჯით მოწყობილს, შემოსავალი არ მოჰქონდა. შემდეგ კი სავსებით შეასრულა თავისი დანიშნულება და როგორც უკვე ვიცით, ამ ჟამად ნორვეგიის ბიუჯეტის მეტი წილი თეთრი ნახშირის მრეწველობას ხვდება.

ჩვენს ხორჩ სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს კაპიტალი და ამავე დროს მისთვის აუცილებელია პირველი საჭიროების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამის გამო სრულებითაც არ იქნება მიზანშეწონილი, რომ მან თავისი ინიციატივით და საკუთარი ძალ ღონით დაამუშაოს წყლის ძალა, რადგან იმისთვის მას სესხის აღება დასჭირდება და პროცენტების გადახდა იმ დროს, როდესაც ვიცით, რომ პირველ ხანებში მას შესაფერისი შემოსავალი არ ექნება. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ჩვენ სახელმწიფოს დღეს არა აქვს მოწყობილი კომერციულ-ტეხნიკური აპარატი ამ საქმის გასაძღოლად.

ყველა ამ მოსაზრების გამო, სახელმწიფოს შეუძლია დღეს-დღეობით მხოლოდ ერთ გზას დაადგეს: კონცესიების საშუალებით მიიზიდოს კაპიტალი და გამოიყენოს კერძო წარმოებელმრეწველთა უნარი და გამოცდილება და ამ გზით განავითაროს ჩვენში ეს დარგი მრეწველობისა—თეთრი ნახშირის წარმოება—და საძირკველი ჩაუყაროს საერთო მრეწველობის განვითარებას.

კონცესიების გაცემის დროს მთავრობამ სათანადო გარანტიებით უნდა დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები. მან ყურადღება უნდა მიაქციოს:

1) **კონცესიის ვადას.** საფრანგეთის კანონმდებლობის კონცესიები 50 წლის ვადით იცემა. ამ ვადის შემდეგ მთელი ქონება, კონცესიის კუთვნილებას რომ შეადგენს, უსასყიდლოდ გადადის სახელმწიფოს ხელში. შვეციის კანონმდებლობით ვადა 40 წლით არის განსაზღვრული, რის შემდეგ აგრეთვე უსასყიდლოდ გადადის ქონება. იტალიის კანონმდებლობით—30 წლიწადი, ხოლო შემდეგ სახელმწიფო ვალდებულია გამოიყიდოს ქონება. რუსეთში კი სტიუარტს 75 წლით ჰქონდა მიცემული (შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცა სახელმწიფოსათვის მთელი ქონება).

2) **გადასახადს სახელმწიფოს სასარგებლოდ.** იტალიაში დაწესებულია 3 ლირა ერთი ცხენის ძალაში, საფრანგეთში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში მიღებულია შეჯიბრების პრინციპი. რუსეთში სტიუარტს დანიშნული ჰქონდა 3 მანეთი კილოვატ—წელიწადში.

3) **უმაღლეს ტარიფს, რომლითაც ელექტრონის ენერგია მიეცემათ კერძო მომხმარებლებს.** ჩვეულებრივ, საზღვარ გარედ, ჰიდრო-ელექტრონულ სადგურზე მიღებულია 3—8 კაპ.

4) იმ ენერგიის ვარაუდს, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადო ორგანიზაციების საჭიროებისათვის და იმ შემცირებულ ტარიფს, რომელიც კერძო მომხმარებლების ტარიფისაგან უნდა განირჩეოდეს. მიღებულია შემცირება 50—25 პროცენტით.

თუ სახელმწიფო არ დაადგება ამ გზას, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა საფრთხეში ჩავარდება: დრო მიდის, ხოლო ცხოვრება კი თავისას მოითხოვს.

ჩვენ ვერ შევსძლებთ არსებობას, თუ არ შევქმენით და დავამუშავეთ გასატანი საგნები და არ შევამცირეთ შემოსატანი. თავის თავად ცხადია, რომ ვისაც გასაყიდი არაფერი გააჩნია, ის ვერაფერსაც იყიდის. ხოლო გასატანი ღირებულების შესაქმნელად კი საჭიროა ენერგია, იაფ-ფასიანი სათბობი მასალა და ჩვენ ის მოგვეპოვება თეთრი ნახშირის სახით.

საჭიროა ყველამ იმუშაოს და იზრუნოს ამ დარგში: მთავრობამაც და საზოგადოებამაც; უკანასკნელმა პარლამენტის საშუალებით, სადაც კრიტიკით მხარი უნდა დაუჭიროს მთავრობას ამ მუშაობაში.

მ. უაუხიშვილი.

განათლების საქმეთა გამგედ საქართველოში იქნებიან მინისტრი, მისი ამხანაგი და მინისტრის საბჭო. დაწესებული იქნება სამი განყოფილება უმაღლეს, საშუალო და სახალხო საპროფესიო. სკოლების სამართველოდ.

—

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, რომ პირველი დაწყებითი სწავლა სავალდებულო იყოს ყველასთვის.

—

საშუალო სკოლის მასწავლებლები გაბედულ ნაბიჯისა და ძირითად რეფორმებისათვის მომზადებულნი უნდა იყვნენ.

## სასურსათო სამინისტროს ქართველ მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის დადგენილება

ივნისის 12 1918 წ. გამგეობის კრებამ მოისმინა რა ამხ. ყოჩიაშვილის მოხსენება, სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრალურ ბიუროს მოსამსახურეთა, ივნისის 11 საჯარო კრებაზე გამოტანილ რეზოლუციის შესახებ, რითაც პროტესტი ეცხადება მთავრობას, ზემო აღნიშნული ბიუროს გაუქმების გამო. შემდეგი საპასუხო რეზოლუცია გამოიტანა: „ყინაიდან დღეს ჩვენ ვცხოვრობთ განსაზღვრულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში, გვყავს სრულ უფლებიანი და ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა, რომლის ყოველივე სიტყვა გარდუვალი კანონი უნდა იყოს ყოველი მოქალაქისათვის, ამისთანა პირობებში გამგეობას შეუწყნარებლად მიაჩნია თავხედური გამოსვლები კერძო ჯგუფებისა, როგორსაც ალაგი ჰქონდა 11 ივნისის სასოფლო სამეურნეო აღწერის ცენტრალურ ბიუროს მოსამსახურეთა შორის. არავის უფლება არა აქვთ მთავრობის მოქმედებათა გაკრიტიკებისა გარდა სახელმწიფოს უზენაესი პატრონის პარლამენტისა; ხოლო პროტესტების გზავნას მთავრობის წინააღმდეგ, გამგეობა სთვლის მოღალატურ საქციელად, რასაც ვერ მოითმენს ვერც ერთი ჭეშმარიტი მოქალაქე, იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ერთ-მთავრობის ერთ-უფლებიანობა. ამ მოსაზრებით გამგეობა საჭიროდ სთვლის იქმნას მიღებული შესაფერი ზომები, რათა განმეორებული არ იყოს ამისთანა თავხედური გამოსვლები ზოგიერთ თავაშვებულ ჯგუფებისა.

გამგეობის თავმჯდ. შალვა ხაფთახი.
მდივანი: დავით ამირაძე.

## ფიქრები ზავზე

ზავსაც მოვესწარით. ჯითომ ნანატრმა ზავმა მოგვიტანა სიმშვიდე-კმაყოფილება და საუცხოვოთ დაცულ, მთლიან საქართველოში შეუდექით აღმშენებლობითი მუშაობას. ოღონდაც!

მართალია ასეთ ზავს არავინ ჩვენგანი არ ელოდა ისე უკუღმართად წავიდა ჩვენი საქმე, მაგრამ თუ იგი ცივ სამარეთ გადაგვექცეოდა, სადაც ცოცხლათ ჩაგვმარხავდენ, არც ამას მოველოდით! ეს ზავი კი არ არის, დაუსრულებელი ომია, დღეიდან ჩვენ იარაღს უნდა შევუმეგობრდეთ განუყრელად, იარაღით ხელში უნდა ვესალმოთ ჯობდეთ კარებ მოხსნილ. გაპარტახებულ სამშობლოს ნაგლეჯ მიწებს. ეს მოგვიტანა იმ კეთილებითი ნაბიჯებმა რომლისაც ისეთი სიფრთხილით სდევდენ ჩვენი ბედის ხელმძღვანელნი და რომ ისინი თავის დროზედ ყოფილიყო გადადგმული დღეს ჩვენ ამ სამარცხვინო ზავს ავსცილდებოდით და შედარებით ზავის უკეთეს შედეგებს ვიგემებდით.

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდესო, ნათქვამია ჩვენც ბედს არ უნებივრებივართ—ისევ განსაცდელის წინაშე ვდგევართ მხოლოდ ამ დაწეწილ მდგომარეობას მაინც გამოწყობა სჭირია და ჩვენც უნდა მოვიკრიბოთ ძალა, რომ მთლად არ დავიღუპოთ. დღეს სხვა იმედები რომ არ გვამხნევებს, ყველას ენაზედ ის გვაკერია, რომ სამშობლოს დაცვა უნდა, რომ ძველთაგან ნაანდერძევი სიყვარული სამშობლოსადმი მას გვავალებს. რასაკვირველია ეს ასე უნდა იქნეს მხოლოდ რაზედ ვემყარებით, დავეკითხოთ ერთი ჩვენ თავს. ასში და ათასში რომ ოცი და ოცდა ათი კაცი გრძნობდეს თავის მოვალეობას და თავდაუზოგავად ემსახურებოდეს მაღალ იდეიას სამშობლოს დაცვისას, ეს არ კმარა. ნამდვილად ჩვენ ვიცით რომ ხალხში არა თუ ალფრთოვანება, სრულებით არ არის მისი შეგნება. დღევანდელ მდგომარეობას ჩვენდა სამწუხაროთ გლეხი არა გრძნობს—მისთვის დღევანდელი ზავი ისეთივე დამაკმაყოფილებელია რადგან სატმრათ არ გაჰყავთ, თუ გინდ ერთი ნაჭერი მიწაც არ მოკლებოდეს მის სამშობლოს. ამ გრძნობების მათში გამოწვევა გულის ტკივილით ვაღიარებ შეუძლებელია. შეუძლებელია როდესაც ის ამბობს—რათ ვეომები თათარს ან სხვა ვინმეს ის ისეთი კაცია როგორც მე, ხომ არ შემჭამს, მოვიდეს და იცხოვროს, ამ დედამიწის ზურგზედ ყველა დავეტევით, ოღონდ ჩემ სახლ-კარს ნუ შეეხებაო ეს „ბრძნული" აზრები ისე მტკიცეთ შეუთვისებიათ, რომ ვერავითარი ძველთა ანდერძი მათ ვერ შეურყევს. სამშობლო მისთვის ისეთი უცხო სიტყვაა, რომელიც მის სულსა და გულს არას ეუბნება, იქნებ ფიქრობდე, მკითხველო, რომ მე ამას გადაჭარბებული აღშფოთება მალაპარაკებს—არა, მხოლოდ ჩემი დაკვირვება, გარწმუნებთ, პირდაპირი შემთხვევები მათთან საუბრობის ამისთვის როდესაც ჩვენ საშველებას ვეძებთ წამხდარ საქმის გამოსაბრუნებლად; როდესაც მოწოდებებით მივმართავთ ხალხს სამშობლოს დასაცავად, რაც უნდა ძლიერი და ამაღელვებელი იქნეს ის მიმართვა, მიზანს ვერ მიაღწევს თუ თავი და თავი საშვალებათ არ მივიჩნიეთ შემდეგი რამ: დავაკისროთ ჩვენი ბედის ხელმძღვანელ პარტიას, რომ თვისი მოქმედება სოფლად შეაბრუნ-შეატრიალოს. იმ ბრძნულ აზრების მაგიერ, რასაც ჩვენი გლეხი თუთიყუშივით იმეორებს, განამტკიცონ მათში ფუნალო და საჭირო მცნება—სამშობლოზედ ზრუნვა. მის შეგნება-განმტკიცებაზედ დახარჯონ დღეიდან მათ ის ენერგია ხალხში, რაც დასჭირდათ მათი პარტიულ დარაზმისათვის, ანგარიში გაუწიონ მას, რომ არა ერი პარტიისათვის, როგორც ეს იყო დღემდის, და რამაც დაღუპა ჩვენი საქმე, არამედ პარტია ერისათვის და ასეთი ჯარი ექვს გარეშე სამშობლოს დაიცავს.

სამწუხაროა, რომ ამდენი ხნის მათ მუშაობას ხალხში ის ნაყოფი გამოუღია, რომ კუჭის გამოძღომის მიზანს ემსახურება დღეს გლეხი მხოლოდ და უზრალო ადამიანურ შეგნებამდის ვერ მისულა. გარეშე პარტიისა და პირადი ინტერესისა მას არაფერი არ ამოძრავებს—არა ერი, არა სამშობლო, არავითარი მოქალეობა მისდამი. აქ არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი დამადონებელი შეკითხვა, რომლითაც მომმართა ერთმა მათგანმა—ეხლა, ბატონო, მუშაობა ეროვნულ ნიადაგზედ უნდა იქნესო?

ამ შეკითხვამ გული ჩამიკლა—რათ უნდა გაძლევდეს ასეთ კითხვას ქართველი გლეხი რატომ ის დღემდისაც არ გრძნობდა მის საჭიროებას, ან რას ხმარდებოდა მისი გულუბრყვილობა?

ყოველივე არაეროვნულს და რასაკვირველია გადაგვარებულმა, გადაგვარებულმა მან სამშობლო დაჰკარგა. სამწუხაროა და სავალალო დღეს ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ მას გამობრუნება უნდა მისი ძაშვალება ყოველივე ჩადენილ შეცდომების გასწორება იქნეს და ამის მიხედვით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თუ ისინი ჩვენი ერის ბედით დაინტერესებული არიან, უნდა ძველი გზა უკუ აგდონ და ხალხში ეროვნულ გრძნობის განმტკიცებას შეუდგენ. ამ ნიადაგზე გაწვრთნილი ჯარი უტყუარი და უძლეველი ძალაა მტრის წინაშე—სხვა ხსნა არსად არის.

თ. ჯაფარიძისა.

## უფრთხილდით ერის ქონებას

ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა შორიდან მტერს უბრმავებს თვალებს ახლოს კი მოყვარეს. ხალხის მომავლით დაინტერესებულ კაცს გული გიკვდება, რომ ამდენი ხნის იდეალი „თავისუფალი საქართველო იმ დიდ მაღაზიას დაემსგავსა, რომელმაც ლამაზად მოხატული ვეებერთელა „ვივესკა" აკრავს კარის თავზე და შიგ თაროები ორი წილად ცარიელია. ვფუსფუსობთ მაღაზიაში „რეკლამისტ"—ნოქრებივით, კპატიჟით გამვლელ გამომვლელს, ვითომ ვმუშაობთ რაღაცას ვეპატრონებით, მაგრამ რა კუთხიდან გნებავთ, არ ძვრებოდნენ, თაგვ-ვირთხები, ბოჩები და მღილები და ერის განძს არ ანიავებდენ. კარებთან სდგას მართველობა, აფარებული „ადიუტანტებით" მაგრამ უფრო მთავრობიზს ვიდრე მართველობს ამ „დემოკრატიის მოპოებათა შენარჩუნების" დროს.. ამ უკანასკნელს ან მცონარეობა ახასიათებს ან მტერ-მოყვარესადმი ზედმეტი ჯენტლმენობა. ზემო თქმულ თაგვების დამპირავიც ბევრი გვყავს და პატიოსანი მუშაკი ხელოსნებიც, მაგრამ მათთვის კარი ყველგან დაკეტილია. გუშინდელი „პოდპორუჩიკები" დღეს თითქმის ორი მესამედი „პოდპოლკოვნიკია" „ზაურიად ჩ: ნოვნიკები" უცებ—გადეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკდენ.. საქმე?! საქმის რა მოგახსენოთ, ჯერ თბილი ადგილებია ალბათ საჭირო, საქმეს კი შეუძლია მოითმინოს.

თვითონ მე ვმსახურობ ერთ ერთ დაწესებულებაში, რომლის დაგვარი ჩვენ არსად არაფერი მოგვეპოვება, ვერც მომავალში შეიძენთ ბევრი ფულიც რომ გქონდეთ, სანამ საერთაშორისო ომი არ მოისპობა, აი ამ დაწესებულებიდან, მარტო აპრილ-მაისში რუსის კორპუსმა—22 ათეულის მოწყობილება გაიტანა, ამის ფასი ახლა ნახევარ მილიონი მაინც იქნება. ორი სამი კვირის შემდეგ კორპუსი დაშალეს, კანონით ქონება უკან უნდა დაებრუნებიათ, მაგრამ მხოლოდ უკან ქაღალდები „დელოები" მოაქვთ, როცა ვკითხავთ ბ-ნ ექიმებს ქონებას რა უქენით მეთქი დაცინვით და გულღვარძლიანათ გიპასუხებენ „ლიკვიდიროვალიო" (?!) რაც ნაწილებმა წაიღეს, ხომ ვეღარ ვხედავთ მაგრამ მთავარ საწყობებშიაც საშინელი ქურდობაა, ყველგან ისევ ძველი „ჩინოვნიკები ბრძანდებიან და მრავალი ხვრელი გაუკეთეს სახაზინო ქონებას.

კითხვაც ვეღარ გაგვებედავს რათ სჩადიხართ მეთქი?! ასტეხენ საშინელ განგაშს „ეს ყველაფერი რუსის ფულით არის შეძენილიო" და გვემუქრებიან კიდეც... ასეთი ვაჟბატონები, ქონებას თავის სასარგებლოდ უშვრებიან „ლიკვიდაციას" და ხაზინიდან კიდევ „ლიკვიდაციონებს" ღებულობენ.. ეს იმ დროს, როცა თვით რუსის მთავრობა გზის ლიტერებსაც აღარ აძლევს ჩვენებურ აფიცრებს. სახრავი წასვლელებს მიაქვთ ჩვენ მხოლოდ საქართველოს სახელს გვიტოვებენ...

მერე თქვენა გგონიათ არა ეწივით არ ვეუბნებით მართებულობას?!

დავრბივართ ათჯერ ამ ჯერაც, ხან მთელი დელეგაციები.. პიშკარზე ტაბახი აუშვრეთ, მაგრამ ჯერ კვირაობით უნდა ილოდინო კარებთან, რომ შეგიწვნენ, მოგისმინონ. მერე კი ვეტყვიან ამ ღენერალს მიმართე, ის კი მეორეზე გითითებს, მეორე მესამეზე.. ჯერ მთელ ენერგიას გამოგაცლიან, მერე თუ არ დიადლეთ და ყველასთან მიდით თქვენ მოხსენებას ან კანცელარია დამარხავს სადმე ან „კომისია". სხვა და სხვა დაწესებულებებს, მთელი კოლეგიელები ფიქრობენ მოაგვარონ, უდგენ მთავრობას საიმედო პირების სიას მაგრამ, პასუხი ნამდვილი კონსერვატიულ რეაქციონურია „რა კოლეგიალი, რა პროფესია ვერ გაიგეთ რომ კომიტეტები უნდა გავრეკოთო". ასე უცდიან ძველ „ჩინოვნიკურ სდატჩნი ვედომოსტებით ჩაბარებას" ალბათ ქონების სრულ „ლიკვიდაციამდე". მერე კი შექმნიან წუწუნს: არაფერი გვაქვს, ხალხიც არ გვყავდა ქონებას მოვპატრონებოდითო.

ბ ნებო ისმინეთ ვისაც ყური გაქვთ სასმენად, თორემ მტერ-მოყვარენი მძევლადაც აღარაფერს დასტოვებენ, და სისხლით გამოცლილი ხალხი თქვენ მოგთხოვთ პასუხს და ვაი თუ თბილი ადგილებიც დაგამწარდეთ.

ხკიპიდარი.

## ვიქტორ გამყრელიძე

საამური სახელია ფცილოდ.

ამ სახელთან თქვენ წარმოგიდგებათ ჩვენი სცენის დარბაისელი, ახოვანი მუშაკი.

წარმოგიდგებათ ძველ ქართველ გმირთა სახეები ლიონიძისა, ანანიასი გელასი, გაბოსი რომელთა მამულიშვილურ აღტყინებათ თქვენ მოხიბლული ხართ, თუ კი ოდესმე გინახავთ პატივცემული ვიქტორი ამ როლებში.

ხმა, ტანი, იერი მუდამ ქართველი კაცის, იმ ქართველისა, რომელსაც ვერე უზომოდ უყვარდა მისი მიწაწყალი, რომ აი საუკუნეებით ბრძოლის შემდეგ დღეს თავისუფლებამდე მოგვყარა და გვიანდერძა: იმუშავე და იყავ შენს ქვეყანას ბედნიერიო!

ეს სახეები ვიქტორის მიერ განხორციელებულნი, წარუშლელის სადიდებით აფერადებულნი, მუდამ ცოცხლად დგანან ჩვენი გონების თვალის წინაშე და დაუვიწყარ არიან.

ვიქტორიც ერთგულად ემსახურებოდა ჩვენ სცენას და თავის მხრივ გვამხნევებდა ზემოთქმულ სახების უნაკლო ჩვენებით, თითქო გვეუბნებოდა: ქართველნო იწამეთ თქვენი თავი, თქვენი ტიპი, „ცოტანი ვართ, მაგრამ კარგნი ვართო".

ერთი ადამიანის სიცოცხლე ღირს იმათ, რომ თუნდა ესეთ სპეციალურ დარგს ემსახუროს.

და ვიქტორიც სწორედ მუდამ სპეციალისტი იყო. ის იყო ყოველთვის მსახიობი ქართულ თეატრისა და მისი შემოქმედების სადიდავი სხვა რომელიმე დარგში არ დაღვრილა.

ესეც მის პიროვნებას ერთ-გვარის ნაზი შუქით მოსავს.

ბევრს არ გამოჰკიდებია, მას მხოლოდ მსახიობობა უნდოდა და აკი პირნათელი იყო მუდამ ამ საქმეში.

უთუოდ ვიქტორი არ მოსცილდებოდა ჩვენს სცენას, რომ ნივთიერ მხარეს შეეწყო მისთვის ხელი. ეს აგერ ახლა არის, რომ სასცენო მუშაკის საქმე ასე თუ ისე ნივთიერად გამოკეთდა...

მდგომარეობამ კი იძულებულ ჰყო კერძო სამსახური მოეძებნა და სავალალოა ესეთი მდგომარეობა, რადგან უთუოდ კიდევ ბევრი მართალი და დარბაისელი სახეები დაეკარგა ჩვენს სცენას.

მაგრამ რაც ჩვენ ხსოვნას შეუნახნია უთუოდ საგრძნობელია და მადლობის ღირსი.

დღეს კი მისდა სამადლობლად მსახიობთა კავშირი მართავს საიუბილეო წარმოდგენას სახაზინო თეატრში. წარმოდგენა გაიმართება კვირას, 16 ივნისს საღამოთი და აშკარაა ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივის თანაგრძნობით მოეპყრობა თვალსაჩინო მსახიობის, ვიქტორ გამყრელიძის დღესასწაულს.

ნარიმანი.

## ქართული ფულის ფონდი

ტფილისი ივნისის 14. სამხედრო სამინისტროს კანცელიარიაში შემოწირულებანი კვლავ შემოდის საქართველოს რესპუბლიკის ოქროს ფონდისათვის.

შემომწირველთა სია: გენერალ-მაიორი კვინიტაძე სტანისლავის ორდენი მე-2 ხარისხის (ორი), ანასი მე-2 ხარ. (ორი), ვლადიმერის მე 4 (სამი) ანასი მე-3 (ორი), სტანისლავის მე-3 ხარ. (ორი), გენ.-მ. ჯუნკოვსკი სტანისლავის მე-3 ხარ. (ერთი), ნ. ჯავახიშვილი სტანისლავის მე-3 ხარ., ანასი მე-3 ხარ. (ერთი), ნ. მელიქიშვილი სტანისლავის მე-3 ხარ. (ერთი). ა. დიასამიძე სტანისლავის მე-3 ხარ. (ერთი), ი. ბალუაშვილი სტანისლავის მე-2 ხარ. (ერთი), პოლკოვნიკი მაყაშვილი, სტანისლავის მე-2 ხარ. (ერთი), ანასი მე-2 ხარ. (ერთი), ნ. ავალიშვილი სტანისლავის მე-2 ხარ. (ერთი), ანასი მე-2 ხარ. (ერთი), ანასი მე-3 ხარ. (ერთი), ვლადიმერის მე 4 ხარ. (ერთი) და სამი ვერცხლის მედალი.

გამომცემელი
სახალხო ფინანსთა
[illegible] მთავარ კომიტეტისა

დავკარგე სოფელ, ივნისის 14-ს მე-3 მარშრუტის ტრამვაის ვაგონში. შიგ ფული არ იყო. იყო მხოლოდ დოკუმენტები, რომელიც მპოვნელისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მპოვნელს ვთხოვ გამომიგზავნოს სოლოლაკში, არზრუმის რკინ. გზის სამმართველოში (დოროგნოვის ყოფილი მ. ლაზია), ვ. ი. ორლოვს. საჩუქარს მიიღებს 100 მან. 628

იყიდება სახლი ვერაზე ბანკის ვალით. პეტროვსკის ქუჩაზე № 19. პირობების გაგება შეიძლება იქვე სახლის პატრონისგან. 637

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფუბანი. 1002

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონხინისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროს. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხვლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან ხნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ. ხკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] 5—6 ს.-მდე კვირის დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] [illegible], სახლი [illegible] [illegible] 5—31. 1080

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
დებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2150

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 103 2

კბილის ექიმის
[illegible] ფოჯანაძის
[illegible]
ავადმყოფებს [illegible] კბილის ექიმები: ვ. ი. პეჩაძე, ვ. დ. მირიაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7-მდე.
მიხეილის პროსპ. 78. 591

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
უთმელმაგარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში იარსებებს კბილის ხელქიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კირონნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. დარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
გორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9 $^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეჟხანა—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11$^1/_2$ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საზებიო ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
[illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა
სავაჭრო სახლი
„კომერსანტი"
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.
ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.
„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი". 1160